ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი № 15

ქ. თბილისი **27.09.2018**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

1. **მანანა რატიანი** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;

2. **გრიგოლ მურღულია** - ფილოლოგიის დოქტორი, შპს „ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის" სკოლის პარტნიორი და დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

3. **გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;

4. **ხათუნა ბარაბაძე** - სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლის დირექტორი;

6. **რევაზ აფხაზავა** - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის მართვისა და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

7. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის" მასწავლებელი;

8. **თამილა ჩუბინიძე** - სსიპ - ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის N150 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, მასწავლებელი, საბჭოს სხდომის მდივანი

9. **დავით მალაზონია** - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

10. **არჩილ სუმბაძე** - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის" აკადემიური დირექტორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ლევან გოგიჩაიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. შპს ბრიტანულ ქართული აკადემია

ზურაბ სამარღანიშვილი - აკადემიური დირექტორი

ნათია ჯანაშია - დირექტორი

ლანა ორაგველიძე - ადმინისტრაციული მენეჯერი

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

პეტრე ბაბილუა

ლალი ბერიშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე მანანა რატიანი.

სხდომა გაიხსნა 16:20 საათზე, სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს ბრიტანულ ქართულ აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა წარმოდგენილი. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

1. შპს ბრიტანულ ქართულ აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, პეტრე ბაბილუამ და ლალი ბერიშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

ექსპერტ პეტრე ბაბილუას განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 30 აგვისტოს № 795 ბრძანების საფუძველზე, შპს ბრიტანულ ქართულ აკადემიაში განხორციელდა მონიტორინგი დოკუმენტაციის გამოთხოვნისა და მათი შესწავლის გზით. მონიტორინგის განხორციელების მიზეზი გახდა ცენტრში შემოსული საჩივარი, რომელშიც ბავშვის მშობელი იტყობინებოდა, რომ მისი შვილი 2 წლის განმავლობაში დადიოდა ზემოაღნიშნული სკოლის ფრესქულში, რაშიც ის იხდიდა თანხას. ფრესქულის დამთავრების შემდეგ სკოლამ უარი განაცხადა ბავშვის პირველ კლასში ჩარიცხვაზე და როდესაც მშობელმა მოითხოვა უარის მიზეზის განმარტება, სკოლამ წერილობით პასუხი გასცა მშობელს, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ სკოლას არ შეეძლო ბავშვის მიღება პირველ კლასში, რადგან ადგილების შეზღუდული რაოდენობის გამო, უპირატესობა მიენიჭებოდათ იმ ბავშვებს, რომლებიც უფრო მეტად აკმაყოფილებდნენ სკოლის მიღების კრიტერიუმებს.

ცენტრის მიერ აღნიშნული განცხადების საფუძველზე დაწყებული წარმოების ფარგლებში სკოლისაგან გამოთხოვილ დოკუმენტებს შორის იყო სკოლაში მიღების პროცედურები და აპლიკანტთა შეფასების კრიტერიუმები.

ექსპერტების შეფასებით, სკოლა პირველ კლასში მოსწავლეთა შესარჩევი კონკურსით მიღებით არღვევდა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტს - დაუშვებელია სკოლაში მიღებისას რაიმე სახის დისკრიმინაცია; მე-4 პუნქტს - დაუშვებელია სკოლის მიერ საკუთარი უფლებამოსილებისა და რესურსების იმგვარად გამოყენება, რამაც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად გამოიწვიოს მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის, აგრეთვე

მათი გაერთიანებების რაიმე დისკრიმინაცია; მე -5 პუნქტს - ნებისმიერი განმასხვავებელი ქმედება ან გამონაკლისის დაშვება ჩაითვლება დისკრიმინაციად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი ქმედება ან გამონაკლისი სამართლიანი და გონივრულია, ემსახურება თითოეული პირისა და ჯგუფის თავისუფალი განვითარების და თანაბარი შსაძლებლობების უზრუნველყოფას.

ექსპერტ პეტრე ბაბილუას განმარტებით, სკოლის მიერ განხორციელებული ქმედება, სკოლის ადმინისტრაციის მიერ მშობელთან გაგზავნილი კორესპონდენცია და სკოლის სასწავლო დებულების მუხლი 36 ეწინააღმდეგებოდა აკადემიის მისიის შემდეგ პუნქტებს: 1) ყველა ბავშვს შეუძლია სწავლა; 2) აკადემიური წარმატების მიღწევა შეუძლია თითოეულ მოსწავლეს; 3) ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს საკუთარი უნიკალური პოტენციალის სრულად გამოვლენის შესაძლებლობა;

ექსპერტების დასკვნის პროექტის პასუხად სკოლამ ცენტრში წარმოადგინა საკუთარი პოზიცია, სადაც განმარტებული იყო, რომ „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლით დაშვებული იყო გამონაკლისი სპეციალური სტსტუსის მქონე სკოლებისათვის და „ბრიტანულ-ქართული აკადემია" სწორედ ასეთი სტატუსის მფლობელად მიიჩნევდა თავს. სკოლის პოზიცია არ იქნა გაზიარებული ექპერტების მიერ და მის საფუძველზე არ იქნა შეტანილი ცვლილებები ექსპერტთა დასკვნაში.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ სკოლის წარმომადგენლებს მიმართა, რატომ არ მიიღეს აღნიშნული ბავშვი პირველ კლასში, სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კანონმდებლობით მათ ჰქონდათ უფლება, რომ არ მიეღოთ აღნიშნული ბავშვი სკოლაში და დასტურად მოიყვანა ზოგადი განათლების შესახებ კანონის მე - 13 მუხლის მე - 3 პუნქტი, სადაც საუბარი იყო სპეციალური სტატუსის მქონე სკოლების მიერ კონკურსის ჩატარების შესაძლებლობის თაობაზე და წარმოადგინა სამინისტროდან წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ სკოლას უფლება ჰქონდა განსხვავებული სქემით განეხორციელებინა სწავლება.

საბჭოს თავმჯდომარემ სკოლის წარმომადგენელს განუმარტა, რომ ზემოთ ნახსენები წერილი არ უზრუნველყოფდა სკოლის სტატუსს და მისი მოპოვება სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე, იურიდიული დოკუმენტით ფორმდებოდა და არა წერილის საფუძველზე.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ სკოლას შეეძლო მოსწავლეებთან გასაუბრება ჩაეტარებინა მათი სკოლისათვის მზაობის დასადგენად, შესაძლო საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გარემოს და სასწავლო გეგმის შესაქმნელად და არა მოსწავლეების შესარჩევად.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გრიგოლ მურღულიამ 16:50 წუთზე დატოვა სხდომა.

დამსწრეებს საკუთარი მოსაზრება გააცნო ექსპერტმა მარინე უშვერიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ მისი აზრით, სკოლამ, რომელსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან ჰქონდა თანხმობა ეროვნული სასწავლო გეგმისაგან განსხვავებული პროგრამის განხორციელების შესახებ, ასევე უნდა ჰქონოდა უფლება მიეღო ისეთი მოსწავლეები, რომლებიც დაძლევდნენ აღნიშნულ პროგრამას.

საბჭოს თავმჯდომარემ, მანანა რატიანმა გაიზიარა საბჭოს წევრის, რევაზ აფხაზავას მოსაზრება იმის შესახებ, რომ სკოლას არ ჰქონდა უფლება, მოსწავლეები პირველ კლასში მიეღო შესარჩევი კონკურსის საფუძველზე. ის ასევე დაეთანხმა კოლეგას სკოლის სპეციალურ სტატუსთან დაკავშირებით. ამასთანავე, დაამატა, რომ ის სკოლებიც, რომლებსაც სახელმწიფოს მიერ მინიჭებული ჰქონდათ სპეციალური სტატუსი, მოსწავლეთა მიღებას ახორციელებდენ საბაზო ან საშუალო საფეხურზე. პირველ კლასში შეუძლებელი იყო მისაღებად შეუძლებელი იყო კანდიდატითვის რაიმე შედეგების მიღწევის შეფასება, გარდა სასკოლო მზაობისა, ისიც მხოლოდ და მხოლოდ მოსწავლისთვის მასზე მორგებული, ინდივიდუალური მიდგომის განსაზღვრის მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ 17:00 საათზე გამოაცხადა შესვენება.

საბჭოს სხდომა გაგრძელდა 17:20 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ სკოლის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ საბჭომ იმსჯელა მიმდინარე საკითხთან დაკავშირებით და საბჭომ გადაწყვიტა, რომ სკოლის მიერ მოსწავლეების მიღების წესი არ იყო კანონმდებლობასთან შესაბამისობაში, რადგან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების თანახმად, სკოლა ვალდებული იყო ყველა ბავშვისთვის შეექმნა სწავლის თანაბარი პირობები და შესაძლებლობები. საბჭომ სკოლის წარმომადგენლებს დაავალა შემდგომში უზრუნველეყოთ სკოლის მისიაში ცვლილებების შეტანა, მოსწავლის მიღების წესის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა და დაწესებულების წარმომადგენლებს მისცა 10 დღიანი ვადა ცენტრისთვის წარმოედგინათ გასწორებული დოკუმენტაცია. სკოლის წარმომადგენლები დაეთანხმნენ საბჭოს გადაწყვეტილებას და განაცხადეს, რომ ხარვეზი აღმოიფხვრებოდა და გასწორებული დოკუმენტაცია ცენტრს წარედგინებოდა დადგენილ ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბრიტანულ ქართული აკადემიის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 0

წინააღმდეგი - 9

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ბრიტანულ ქართული აკადემიის (ს/კ:204497829) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ 17:40 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საბჭოს თავმჯდომარე

მანანა რატიანი

საბჭოს მდივანი

თამილა ჩუბინიძე